RE: 27 თებერვლის ღონისძიება

Sopo Belkania <sbelkania@moh.gov.ge>

Thu 2/22/2018 6:55 PM

To:Lela Sturua <lela.sturua@ncdc.ge>;

Cc:Amiran Gamkrelidze <A.Gamkrelidze@ncdc.ge>;

გამარჯობა ლელა,

გაცნობებთ რომ, 27 თებერვლის ღონისძიებასთან დაკავშირებით მინისტრის ხელმოწერით გავუშვით წერილები თქვენს მიერ მოწოდებულ უწყებებში დასწრებასთან დაკავშირებით. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია დამსწრე პირთა რაოდენობის განსაზღვრა, ვინაიდან დიდ დარბაზში მაგიდის გარშემო 24-26 პირზე მეტი ვერ ეტევა.
რაც შეეხება „თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვეცია 2030“ პროექტის სტრატეგიის დამტკიცება-ხელმოწერას ვესაუბრე ნათია ხმალაძეს და მითხრა რომ ბატონ ამირანთან ჰქონდა კომუნიკაცია და შესაძლო ვარიანტებს ხვალ გვეტყვის.

ამ ეტაპზე ეს ინფორმაციაა რასაც ვფლობ.

საუკეთესო სურვილებით,

სოფო ბელქანია

ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
აკ. წერეთლის გამზირი 144, თბილისი, საქართველო, 0159
მობ: +995 599 223232

From: Lela Sturua [mailto:lela.sturua@ncdc.ge]
Sent: Wednesday, February 21, 2018 3:01 PM
To: sbelkania@moh.gov.ge
Cc: Amiran Gamkrelidze
Subject: 27 თებერვლის ღონისძიება

სოფო, მოგესალმებით

როგორც მოგეხსენებათ, 27-28 თებერვალს საქართველოში ვიზიტით ჩამოდიან თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის სამდივნოს ხელმძღვანელი ვერა ლუიზა დე კოსტა ე სილვა და სამდივნოსა და გაერო-ს განვითარების ფონდის წარმომადგენლების ვიზიტი. ვიზიტის ძირითადი მიზანია მოხდეს WHO FCTC სამდივნოს მიერ ინიცირებული ახალი პროექტის „FCTC 2030-საქართველოს“, რომელსაც კონვენციის სამდივნო დიდი ბრიტანეთის მიერ მიღებული ფინანსური დახმარებითა და გაეროს განვითარების პროგრამასა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით ახორციელებს, და გაეროს განვითარების ფონდისა და ჯანმო-ს ერთობლივი შეფასების ე.წ. „საინვესტიციო შემთხვევის“ პრეზენტაცია. ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტების პრეზენტაცია, როგორც მოგეხსენებათ, 27 თებერვალს ჯანდაცვის სამინისტროში დაგეგმილ მაღალი დონის შეხვედრაზე მოხდება. ასევე, დაგეგმილია ამავე შეხვედრაზე მოხდეს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისა და თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის სამდივნოს თანამშრომლობით შემუშავებული „თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვეცია 2030“ პროექტის სტრატეგიის დამტკიცება-ხელმოწერა. სტრატეგიის დოკუმენტს თან ვურთავთ.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, როგორც კომისიის

სამდივნო, მზად არის ჩაერთოს ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების მოსამზადებელ სამუშაოებში.

პატივისცემით,

ლელა

Lela Sturua MD PhD MPH
Head, Non-communicable Diseases Department
National Center for Disease Control and Public Health
Tel.: +995 599 111797
E-mail: lela.sturua@ncdc.ge